სწორი ინფორმაცია სანდო წყაროდან მიიღება...

ფაზილეთის გამომცემლობა / 237

ჩვენი ძვირფასი ფეიღამბრის ცხოვრება და მოღვაწეობა
(სალლელლაჰუ ალეიჰი ვესელლემ)

შემდგენი
ფაზილეთის სამეცნიერო ჯგუფი
რედაქტორი
ფაზილეთის რედაქტორთა ჯგუფი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ფაზილეთის სამეცნიერო ჯგუფი

1. გამოცემა: სტამბოლი 2023
გამომცემლობა და ყდის დიზაინი

ჩამლიჯის გამომცემლობა

სერთ N: 46592

ISBN: 978-605-2301-84-5

ÇAMLICA

მისამართი

ბაღლარი, მიმარ სინანის ქუჩა,

სტამბოლი / ბაღჯილარ - გუნეშლი NO: 54

ტელ: 0212 657 88 00

www.camlicabasim.com

bilgi@camlicabasim.com

© ამ ნაშრომის ყველა უფლება ჩამლიჯის სტამბის გამომცემლობას ეკუთვნის.

ჩვენი ძვირფასი ფეიღამბრის ცხოვრება და მოღვაწეობა

(სალლელლაჰუ ალეიჰი ვესელლემ)

ახმედ ჯევდეთი

ÇAMLICA

სტამბოლი 2023

სარჩევი

ჩვენი ძვირფასი ფეიღამბრის, მუხამმედ მუსტაფა
სალლელლაჰუ ალეიჰი ვესელლემის დაბადებამდე
მომხდარი საოცარი მოვლენები 11
სპილოს ამბავი 13
ხაზრეთი ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) დაბადება 14
ჩვენი ძვირფასი ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) ძიძაზე მიბარება 16
ძვირფასი ფეიღამბრისა და ხაზრეთი ხატიჯეს შეუღლება..... 19
ქააბეი მუაზზამას რესტავრაცია 21
ხაზრეთი მუხამმედ მუსტაფას (ს.ა.ვ.) ფეიღამბრობა 21
პირველი მუსლიმანები..... 24
ისლამზე ღიად დაპატიჟება 24
წარმართების საჩივარი ებუ ტალიბთან..... 25
ეთიოპიაში გადასახლება..... 27
ხაზრეთი ჰამზას გამუსლიმანება 28
ხაზრეთი ომერის გამუსლიმანება..... 29
მუსლიმანების ბლოკადაში მოქცევა 32
მთვარის ორად გაყოფა..... 33
ყველაზე დიდი სასწაული: ყურანი ქერიმი 34
ბლოკადის მოხსნა 37
მწუხარების წელი..... 38
ტაიფში მგზავრობა..... 39
პირველი მედინელი მუსლიმანები 40
აყაბეში პირველი ბიათი (ფიცის დადება) 41
ძვირფასი ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) მირაჯი 42
მედინეში ისლამის გავრცელება..... 43
აყაბეში მეორე ბიათი (ფიცის დადება)..... 45
მედინეში გადასახლების ნებართვა..... 45
ძვირფასი ფეიღამბრის, მუხამმედ მუსტაფას (ს.ა.ვ.) ჰიჯრეთი
(მედინეში გადასახლება) 46

ჩვენი ძვირფასი ფეიღამბრის ცხოვრება

(სალლელლაა ჰუ ალეიჰი ვესელლემ)

ეს ნაშრომი ცნობილი სწავლულის, სახელმწიფო მოღვაწისა და ისტორიკოსის ახმედ ჯევდეთის მიერ დაწერილი „ყისასი ენბია და თევარიჰი ხულეფა“ სახელის წიგნიდან მხოლოდ იმ ნაწილის შეარჩევით არის შედგენილი, რაც ჩვენი ძვირფასი ფეიღამბრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გადმოგვცემს.

ჩვენი ძვირფასი ფეიღამბრის, მუხამმედ მუსტაფა სალლელლაჰუ ალეიჰი ვესელლემის დაბადებამდე მომხდარი საოცარი მოვლენები

ბოლო ფეიღამბერი, მუხამმედ მუსტაფა (ს.ა.ვ) არაბეთში, ხაზრეთი ისმაილის შთამომავლობიდან რომ უნდა მოვლენილიყო, თევრათსა და ინჯილშიც იყო მოცემული. ზოგიერთმა ფეიღამბერმაც მისი მობრძანება ხალხს უმახარობლა და განსაკუთრებული ნიშნები აუწყა.

იბრაჰიმ ფეიღამბერმა თავისი შვილი, ხაზრეთი ისმაილი დალოცა. უზენაესმა ალლაჰმა მისი დალოცვა მიიღო და უმახარობლა, რომ ისმაილ ფეიღამბრის შთამომავალიდან განსაკუთრებული და გამორჩეული ხალხი უნდა მოსულიყო, რაც თევრათშიც არის მოცემული. ხაზრეთი იბრაჰიმის მეორე შვილის, ხაზრეთი ისხაყის შთამომავლებს შორის უამრავი ფეიღამბერი მოევლინა. საბოლოოდ მათგან ფეიღამბერთა მოვლენა დასრულდა და რიგი უკვე თავისი ძმის, ხაზრეთი ისმაილის შთამომავლზე მიდგა.

ხაზრეთი ისმაილს უამრავი შვილი და შვილიშვილი შეეძინა. მისი შთამომავალი გამრავლდა და მთელი არაბეთის ნახევარკუნძული მოიცვა. შთამომავალს შორის გამორჩეული ადნანის საგვარეულო იყო, შემდგომ მუდარის საგვარეულო, შემდეგში კი ყურეიშის ტომი.

ყურეიშის ტომში კი განსაკუთრებულად გამორჩეული და ღირსეული ჰაშიმის საგვარეულო იყო.

ძვირფასი ფეიღამბრის მამა აბდულლაჰია, ბაბუა აბდულ-მუტტალიბი, დიდი ბაბუა კი ხაშიმი, რომლის წინაპარი შემდეგია: აბდიმენაფი, ყუსაი, ხაქიმი, მურრე, ქააბი, ლუვეი, ღალიბი, ფიჰრი, მალიქი, ნადრი, ქინანე, ხუზეიმე, მუდრიქე, ილიასი, მუდარი, ნიზარი, მაადი, ადნანი. ადნანი ისმაილ ფეიღამბრის შვილის ყაიზარის შთამომავალია. ხაზრეთი ისმაილ ფეიღამბრის შთამომავალში ვისაც ორი ვაჟიშვილი ეყოლებოდა, ან ერთი ტომი ორად განაწილდებოდა, შემდეგში მოსაბრძანებელი ხაზრეთი ფეიღამბრის წინაპარი უფრო გამორჩეული და ღირსეული იყო. მისი წინაპარი ყოველთვის სახეზე არსებული ნურით (სინათლით) გამოირჩეოდა, რადგან ხაზრეთი ისმაილს სახეზე ვარსკვლავის მსგავსად მბრწყინავი სინათლე ჰქონდა, რომელიც მას მამისგან ერგო. ეს ჩვენი ძვირფასი ფეიღამბრის მუხამმედ მუსტაფას სინათლე იყო. იგი ადემ ფეიღამბრიდან დაწყებული თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ბოლოს კი თავისი ნამდვილი მფლობელის, ხაზრეთი ფეიღამბრის სახეზე გაბრწყინდა და საბოლოოდ დამკვიდრდა.

აბდულმუტტალიბის შვილები იყვნენ: ჰარისი, ებუ ტალიბი, ებუ ლეჰები, ღაიდაყი, ჰაჯლი, აბდულქააბე, მუყავვიმი, ზუბეირი, დირარი, ყუსემი, აბდულლაჰი, ჰამზა, აბბასი. მათგან ყუსემი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა.

აბდულმუტტალიბს შვილებს შორის ყველაზე მეტად აბდულლაჰი უყვარდა, იგი ყველაზე უფრო ლამაზი, კეთილი და პატიოსანი იყო, რადგან ფეიღამბრის სინათლე მის სახეზე ბრწყინავდა.

აბდულმუტტალიბმა თავისი ვაჟი, აბდულლაჰი ზუჰრეს საგვარეულოს მეთაურის, ვეჰბის ქალიშვილზე, ემინეზე დააქორწინა, რომელიც ყურეიშის ტომში ყველაზე გამორჩეული, ღირსეული და ლამაზი იყო. როდესაც ემინე ძვირფას ფეიღამბერზე დაფეხმძიმდა, აბდულლაჰის სახეზე არსებული სინათლე მასზე გადავიდა. იმ პერიოდში ყურეიშთა ტომი მოსავლის ნაკლებობის გამო ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. თუმცა უზენაესმა ალლაჰმა ხაზრეთი ფეიღამბრის (ს.ა.ვ.) სიძვირფასის ნიშნად, მათ იმდენად უხვი მოსავალი მისცა, რომ ყველა გამდიდრდა. როდესაც ხაზრეთი ემინე ფეხმძიმედ